ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3708392

ნომერი: AR1559384

თარიღი : 20.11.2017

გაცემის თარიღი : 05.12.2017

გაცნობის თარიღი : 11.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გასასვლელი N7ა-ს მიმდებარედ./ ქალაქი თბილისი , გერგეთის გას N7ა მიმდ / ქალაქი თბილისი , გასასვლელი , გერგეთი , N 7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა მიმდ. / ქალაქი თბილისი , გერგეთის გას. N7ა / ქალაქი თბილისი , გერგეთის გასასვლელი N7ა-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ეკატერინე თორდია პ/ნ 01026008770
- თბილისი. სობჩაკის ქ. 3

ორგანიზაცია:
- შპს "კასს1" კოდი: 404480236

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1559384 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.15.07.006.081 საკადასტრო ერთეულზე მშენებლობის ნებართვის გაცემას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 27 ნოემერს #3702519 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, #01.15.07.006.081 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2020 წლის 27 მაისის ჩათვლით.
სამსახურის მიერ #3702519 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.